

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის საწავლო სასწავლო  
უნივერსიტეტი**



**საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და  
მათი ეფექტურობის შეფასების ანალიზი**

**თბილისი, 2018 წელი**

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში “გთუნი“) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ბოლონიის დიდი ქარტიით (Magna Charta), ლისაბონის კონვენციით გამოხატული პრინციპებით, საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით, რაც ითვალისწინებს დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს, მათ შორის განათლების, კვლევისა და ტექნოლოგიების, დასაქმებისა და სამოქალაქო საზოგადოების მოდერნიზებასა და ევროპული სტანდარტების დანერგვას.

გთუნი თავის საქმიანობას წარმართავს ბოლონიის პროცესის ინსტრუმენტებით (კვალიფიკაციათა ჩარჩო, სწავლის შედეგები, აღიარება, დიპლომის დანართი, ECTS, ESG), ამასთან მოწოდებულია გააძლიეროს ძალისხმევა სასწავლო დაწესებულების მეტი ინტერნაციონალიზაციისთვის, რაც წარმოადგენს გთუნის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ასპექტს.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გთუნი-ს სტრატეგიული განვითარების განუყოფელი ნაწილია, ამდენად მისი განხორციელების შესაფასებლად გთუნი ეფუძნება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების წესს, ფორმატს მეთოდებს და ინდიკატორებს. მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს მონიტორინგის და შეფასების ჯგუფი საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებასთან ერთად და ტარდება ყოველწლიურად.

## **1. საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის განვითარების მექანიზმები და პროცედურა**

**საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ახალი შესაძლებლობების ინიცირების მექანიზმი და პროცედურა მოიცავს:**

ახალი თანამშრომლობის შესაძლებლობების მოძიებასა და წარდგენას:

- ახალი თანამშრომლობის შესაძლებლობების მოძიება ხდება როგორც ფაკულტეტების ინიციატივით, ისე საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების მიერ;
- ინიციატივის განხილვა, საუნივერსიტეტოს მისაიასთან და სტრატეგიასთან შესაბამისობისა და მიზანშეწონილობის განსაზღვრა ხდება პრორექტორისა და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების მიერ;
- საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ინიციატივა წარედგინება რექტორს. რექტორის მიერ მოწონებული ინიციატივის იმპლემენტაცია ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით.

## **2. საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორები**

**საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასება ეფუძნება შემდეგ ინდიკატორებს:**

- საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის ზრდის ინტენსიურობა და ხარისხი;
- სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის დინამიკა;
- საერთაშორისო კვლევითი და აკადემიური სტანდარტების დამკვიდრების ხარისხი.

- ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შესახებ სტუდენტების და პერსონალის ინფორმირებულობა და მათი გამოყენების ხარისხი (ყოველწლიური გამოკითხვა/ მონიტორინგის შედეგები).

### **3. საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასების ანალიზი**

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, წელიწადში ერთხელ, საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორების საფუძველზე, ხორციელდება საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასების ანალიზი:

#### **- ინდიკატორი N1:**

**საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის ზრდის ინტენსიურობა და ხარისხი; (მტკიცებულება: საერთაშორისო ხელშეკრულებები, მემორანდუმები);**

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, მისი დაარსების დღიდან დღემდე ცდილობს, არამარტო გაზარდოს უცხოურ პარტნიორ უმაღლეს დაწესებულებათა რიცხვი, არამედ გთუნი-ს ინტერესების გათვალისწინებით, გააღრმავოს მათთან თანამშრომლობა სხვადასხვა ასპექტში.

2009-2018 წლებში უნივერსიტეტი, სხვადასხვა ფორმატში, აქტიურად თანამშრომლობს 20-მდე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან საზღვარგარეთ. მათ შორის აღსანიშნავია პარტნიორული ურთიერთობები ინჰოლანდის უნივერსიტეტთან (ნიდერლანდები); პადერბორნის უნივერსიტეტთან (გერმანია); ვარნას თავისუფალ უნივერსიტეტთან (ბულგარეთი); ბრემენჰაფენის უნივერსიტეტთან (გერმანია); ბადენ-ვიურტენბერგის დუალური სწავლების უნივერსიტეტთან (გერმანია); კონსტანტას ოვიდიუსის სახელობის უნივერსიტეტთან (რუმინეთი); ბანსკა-ბისტრიცას მატეი ბელის უნივერსიტეტთან (სლოვაკეთი); ვენტსპილსის უნივერსიტეტთან (ლატვია); ბირმინგემის კოლეჯთან (დიდი ბრიტანეთი), ინგოლშტატის უნივერსიტეტი (გერმანია), პეჩის უნივერსიტეტი (უნგრეთი), ალსტერის უნივერსიტეტთან (ირლანდია), აშშ-ს წმიდა გიორგის სახელობის უნივერსიტეტთან, იტალიის (ბოცენი) ევროპული კვლევის აკადემიასთან (EURAC), ლუბლიანას უნივერსიტეტთან (სლოვენია), რიგის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (ლატვია), ბარანოვიჩის უნივერსიტეტთან (ბელარუსი).

მჭიდრო და ეფექტური პარტნიორობის თვალსაჩინო მაგალითია თანამშრომლობა ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან, ნიდერლანდების სამეფო. ინჰოლანდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, გთუნი-ს არსებობის ხანმოკლე მანძილზე, მიღწეულია რიგი შედეგისა, კერძოდ: შემუშავდა ერთობლივი კურსები, განხორციელდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლის პროექტი, ტარდება მასტერ-კლასები, უახლესი ლიტერატურით მდიდრდება საბიბლიოთეკო ფონდი, გთუნი ჩაერთო ერაზმუს+ სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობის პროექტში; იგეგმება ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება სამართლისა და ჟურნალისტიკის სპეციალობების მიმართულებით და სხვა. 2009 წელს გაფორმდა ხელშეკრულება გთუნი-ს ტურიზმის პროგრამულ მიმართულებასა და ინჰოლანდის უნივერსიტეტის ჰაარლემის ტურიზმის და დასვენების დეპარტამენტთან, ტურიზმის პროგრამის განვითარებასა და ერთობლივი ინგლისურენოვანი კურსის: „Community Based Tourism”ის შემუშავებასთან დაკავშირებით; 2010 წლის 11 თებერვალს კი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტსა და ინჰოლანდის უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი ითვალისწინებს ურთიერთთანამშრომლობას სამართლის, ჟურნალისტიკისა და

ტურიზმის სფეროებში. 2010-2011 წლებში ინჰოლანდის უნივერსიტეტის 3 პროფესორს მიენიჭა გოუნი-ს (მინიჭების დროისათვის - გოსუს) საპატიო დოქტორის წოდება. 2010 წლიდან დღემდე, წელიწადში ორჯერ გოუნი-ში ტარდება მასტერ-კლასები ბიზნესის ადმინისტრირების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთათვის, რომლებსაც უძღვება ინჰოლანდის უნივერსიტეტის 10 პროფესორი. აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან, Erasmus + გაცვლითი პროექტის ფარგლებში, თანამშრომლობაში ჩაერთვნენ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორები, ისევე როგორც, ინჰოლანდის უნივერსიტეტის სამართლის დარგის პროფესორები. 2017 წლიდან ინჰოლანდის უნივერსიტეტის როტერდამის სკოლაში ვიზიტის შედეგად გაღრმავდა თანამშრომლობა სამართლის სფეროში: გავწევრიანდით პროექტის “Freedom, Security and Justice-Crossing Borders” (FSJ-CB) კონსორციუმში პეჩის (უნგრეთი), ალსტერის (ბელგია), კარლოსის (მადრიდი, ესპანეთი) უნივერსიტეტებთან და ვილნიუსის სამხედრო აკადემიასთან (ლიტვა) ერთად. პროექტი ითვალისწინებს ერთობლივი კვლევის წარმოებას ორგანიზებული დანაშაულის სფეროში. კვლევაში ლექტორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სამართლის სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებიც.

წარმატებით განხორციელდება:

- კოოპერაცია ტურიზმის კურიკულუმის განვითარების მიმართულებით;
- კურსის: „ტურიზმი და ადგილობრივი საზოგადოება“ (ინგლისურ ენაზე) მომზადება და განხორციელება; მიმდინარეობდა მუშაობა პროექტებზე: – MATRA, ჟურნალისტიკის სფეროში, (ნიდერლანდების მთავრობის გრანტი), ერაზმუს-მუნდუს, ტემპუს; სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობა. 2011წ. გოუნი-ს 2 პედაგოგმა გაიარა ტრენინგი ჰარლემში, კურსში: ‘Community Based Tourism’; 2011 წ. გოუნი-ს 2 სტუდენტი 3 თვის მანძილზე სასწავლებლად იმყოფებოდა ინჰოლანდის უნივერსიტეტის ჰარლემის ეკონომიკის სკოლაში და წარმატებით გაიარეს კურსი: “Community Based Tourism”. 2016 წლიდან დღემდე, Erasmus+ პროექტის ფარგლებში, ინჰოლანდის უნივერსიტეტში სასწავლებლად იმყოფებოდა 13 სტუდენტი, 3 პროფესორი. აღსანიშნავია, რომ გოუნი მეორედ გახდა Erasmus+ მობილობის გაცვლითი პროექტის ბენეფიციარი, რაც ნიშნავს, რომ გაცვლა ისევ გრძელდება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ინჰოლანდის უნივერსიტეტმა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, Erasmus+ პროექტის ფარგლებში, კიდევ ერთ საგრანტო პროექტზე გააკეთა განაცხადი: სტაჟირების და პრაქტიკის გავცლით პროექტზე ტურიზმის სფეროში. წინასწარი ინფორმაციით, საბოლოო შედეგები 2019 წლის ივნისში გახდება ცნობილი.

2018 წ. ხელი მოეწერა ხელშეკრულებას გერმანიის ინგოლშტატის კათოლიკურ უნივერსიტეტთან. თანამშრომლობის მიზანია ტურიზმის სფეროში ერთობლივი პროექტების, კურსების, კვლევების, გაცვლითი პროექტების განხორციელება. 2018 და 2019 წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში, გოუნი-ს კონსალტინგის და ტრენინგ ცენტრის ფარგლებში, 4 გერმანელმა სტუდენტმა ინგოლშტატის უნივერსიტეტიდან გაიარა 3 კურსი ინგლისურ ენაზე: 1. ინტერკულტურული კომუნიკაციები; 2. ახალი მედია და საზოგადოება; 3. მდგრად ტურისტულ დესტინაციათა მენეჯმენტი. აქვე გვსურს, აღვნიშნოთ, რომ 2018 წელს ინგოლშტატის კათოლიკურმა უნივერსიტეტმა გოუნი-სთან თანამშრომლობით განაცხადი გააკეთა Erasmus+ მობილობის პროექტზე. საბოლოო შედეგები 2019 წლის ივნისში გახდება ცნობილი.

2018 წელს ასევე გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კლაიპედას უნივერსიტეტთან (ლიტვა), პემის უნივერსიტეტი (უნგრეთი), ბარანოვიჩის უნივერსიტეტი (ბელორუსია), რომლის ძირითადი მიზანი Erasmus+ და სხვა გაცვლით პროექტებში თანამშრომლობაა. აღნიშნულმა უნივერსიტეტებმა, ინგოლშტატის კათოლიკური

უნივერსიტეტის, ინჰოლანდის უნივერსიტეტის, მოლდოვას და რიგის უნივერსიტეტების ანალოგიურად, უკვე შეიტანეს საპროექტო განაცხადები Erasmus+ მობილობის პროექტზე. საბოლოო შედეგები, როგორც აღვნიშნეთ, 2019 წლის ივნისში გახდება ცნობილი (დეტალური ინფორმაცია Erasmus+ მობილობის შესახებ, იხილეთ ქვემოთ, მომდევნო ქვეპუნქტში: თანამშრომლობა რეგიონში აქტიურ ყველა მსხვილ დონორ ორგანიზაციასთან).

2011 წლიდან გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს ბირმინგემის კოლეჯთან (დიდი ბრიტანეთი) მემორანდუმის მიზანია, ხელი შეუწყოს აკადემიური თანამშრომლობის განვითარებას კოლეჯსა და უნივერსიტეტს შორის. ბრიტანელ პარტნიორთან გთუნი-ს მიერ განხორციელებული აქტივობები მოიცავს კოლაბორაციას ერთობლივ სამაგისტრო პროგრამის შესაქმნელად ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში, აკადემიურ-კულტურული ტურების ორგანიზებას და სტუდენტთა და პროფესორთა ინგლისური ენის ცოდნის ამაღლებას დიდ ბრიტანეთში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, გთუნი ცდილობს, გააქტიუროს და უფრო ინტენსიური გახადოს თანამშრომლობა სხვა უცხოურ პარტნიორ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან, რომლებთანაც უნივერსიტეტს უკვე გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. ამასთან, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, რათა, მათი საჭიროებებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოიძიოს ახალი უცხოური პარტნიორი ორგანიზაციები და გაამრავალფეროვნოს მათთან თანამშრომლობის ფორმატი.

## ინდიკატორი N2

- სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის დინამიკა (გამარჯვებული საერთაშორისო გაცვლითი პროექტების სტატისტიკა, სტუდენტების და პროფესორების მობილობის შედეგები); ერთობლივ საერთაშორისო კვლევებით პროექტების განხორციელების დინამიკა; (მტკიცებულება: საერთაშორისო მობილობის პროექტები ერთობლივი პრაქტიკული სავსე კვლევის, პრაქტიკა/სტაჟირების მიზნით);
- ახალგაზრდა უნივერსიტეტის ფუნქციონირების დასაწყისში, 2013-2014 წლებში საერთაშორისო საგრანტო პროექტში მინაწილეობდა გთუნი-ს აკადემიური პერსონალის 6 წარმომადგენელი (საერთაშორისო პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობათა რაოდენობა იყო 6); 2014-2018 წლებში საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართული გთუნი-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 8 პროფესორამდე. 2013-2018 წლებში საერთაშორისო საგრანტო პროექტების ფარგლებში განხორციელდა სულ 41 აქტივობა, 2019 წელს მიმდინარეობს და საფუძველი ეყრება ბევრ საინტერესო საერთაშორისო პროექტს, რომლებიც, ვიმედოვნებთ, წარმატების მომტანი იქნება გთუნი-ს მომავალი განვითარებისათვის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. გთუნი გახდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების ბენეფიციარი, კერძოდ:

### - University collaboration network at the Black Sea – UNIVER-SEA.NET – EU, 2014.

პროექტი მიზნად ისახავდა შავი ზღვის ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის ქსელის შექმნას; შავი ზღვის აუზის ქვეყნების უნივერსიტეტების სტუდენტების და პროფესორების მობილობის ხელშეწყობას; საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას; მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტებს შორის კომუნიკაციის გაზრდას. პროექტში მონაწილეობა მიიღო გთუნის 7 სტუდენტმა.



**- ERASMUS+ K 1/107 -Mobility for Learners and Staff-Higher Education Student and Staff Mobility 2016-2017 (Inholland University, The Netherlands);**

პროექტი მიზნად ისახავდა ლექტორთა და სტუდენტთა გაცვლას ბიზნესის მართვის და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. პროექტში მონაწილეობა მიიღო გთუნის 8 სტუდენტმა და 3 პროფესორმა, გთუნი-ში ლექციების კურსის 2 ციკლი წაიკითხა 4 პროფესორმა.

**- ERASMUS+ K 1/107 -Mobility for Learners and Staff-Higher Education Student and Staff Mobility 2018-2019 (Inholland University, The Netherlands);**

პროექტი მოიცავს გთუნის 10 სტუდენტის ვიზიტს ინჰოლანდის უნივერსიტეტის როტერდამის სკოლაში. ამჟამად გთუნი-დან წარგზავნილია 5 სტუდენტი რომლებიც ბიზნესის ადმინისტრირების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს წარმოადგენენ. პროექტი ითვალისწინებს 4 პროფესორის საქმიან ვიზიტს ნიდერლანდებში და 8 ნიდერლანდელი პროფესორის ვიზიტს გთუნი-ში.

**- ERASMUS+ K 1/107 -Mobility for Learners and Staff-Higher Education Student and Staff Mobility 2018-2019 (Ulster University, Ireland);**

პროექტი ითვალისწინებს სტუდენტთა და პროფესორთა გაცვლას ალსტერის უნივერსიტეტის (ირლანდია) და გთუნი-ს სამართლის ფაკულტეტებებს შორის; გაცვლა განხორციელდება შემდეგი სქემით:

- 2 სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი;
- 2 სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი;
- 1 პროფესორი სამართლის ფაკულტეტიდან.

**- TEMPUS: 543681-TEMPUS-1-2013-1-DE- -JPHES – CruiseT- ‘Network of competence centers for the development of Cruise Tourism in the Black Sea Region’-2013-2017;**

პროექტი მიზნად ისახავდა: შავი ზღვის რეგიონის საკრუიზო ტურიზმის კომპეტენციის ცენტრის კონცეფციის განხორციელებას; საკრუიზო ტურიზმის რეგიონული კვლევებისა და კონსალტინგის ძირითადი მიმართულებების პრეზენტაციების, მიმოხილვებსა და დისკუსიების მოწყობას; პროექტში მონაწილე ევროპელ პარტნიორებთან ერთად პროექტის მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების დაგეგმვას; პროექტის ფარგლებში გაიმართა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული სემინარები. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის გარდა, აღნიშნულ პროექტში გერმანიის, იტალიის, ბულგარეთის, რუმინეთის, საქართველოსა და უკრაინის თხუთმეტი უმაღლესი სასწავლებელი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ბათუმის, ასევე შავი და აზოვის ზღვების პორტების ასოციაცია და ტურისტული კომპანიები იღებდნენ მონაწილეობას. პროექტის იდეა იყო ე.წ. „ცოდნის სამკუთხედის“ - განათლება, კვლევა, ინოვაციები - გზით ხელი შეეწყოს შავი ზღვის აუზის, კერძოდ, კი საქართველოს ფართო ინტეგრაცია საკრუიზო ტურიზმის ბაზარზე. პროექტში მონაწილეობა მიიღო გთუნის 6 პროფესორმა და 2 სტუდენტმა. პროექტის ფარგლებში გთუნი-მ მიიღო დაფინანსება სულ: 70.000 ევროს ოდენობით, რაც მოიცავდა პროექტის მონაწილეების სახელფასო და სამივლინებო ხარჯებს (49000 ევრო), სახსრებს წიგნების შეძენის და ბეჭდვისათვის: 4000 ევროს ოდენობით. დაფინანსდა გთუნის აკადემიური პერსონალის 10 სახელმძღვანელოს გამოცემა, საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობდა (6 პროფესორი, 2 სტუდენტი), პროექტის ბიუჯეტით მოხდა საუნივერსიტეტო ტექნიკური აღჭურვილობის განახლება (17000 ევრო).

**-VISEGRAD Foundation: 61450035 - V4EaP -“European Integration in Central Europe: the Experience of Visegrad countries“) 2015-2018;**

პროექტი ითვალისწინებდა 5 კრედიტიანი კურსის შექმნას ევროინტეგრაციის მიმართულებით, რაც წარმატებით განხორციელდა, შეიქმნა კურსი: „ევროპული ინტეგრაცია ცენტრალურ ევროპაში: ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება“. პროექტის ფარგლებში, ევროინტეგრაციის თემაზე გთუნი-

ში მასტერკლასები ჩაატარა 3 პროფესორმა ვიშეგრადის ქვეყნების უნივერსიტეტებიდან, სულ 4 ციკლი. მასტერკლასებში მონაწილეობდა გთუნი-ს 31 სტუდენტი. პროექტის დასრულებამდე დაგეგმილია კიდევ ერთი უცხოელი პროფესორის მასტერკლასის ჩატარება გთუნი-ს სტუდენტებისთვის.

**-TEMPUS: 158739-TEMPUS-1-2009-1-DE-JPHES WeNeT- “E-learning in Tourism”-2009-2012;**

პროექტი, ეხმარებოდა რა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიას, მიზნად ისახავდა, მხარი დაეჭირა ზრდასრულთა პროფესიული განათლებისათვის: კერძოდ, იგი მიმართული იყო ისეთი აქტივობების განსახორციელებლად, როგორცაა: დაუსაქმებელ ზრდასრულთა გადამზადება; ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების განათლების დონის და კვალიფიკაციის ამაღლება; მცირე ელ.კურსების მომზადება უმაღლესი სასწავლო დაწესებულების, ისევე, როგორც პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის. პროექტის ფარგლებში მომზადდა შემდეგი კურსები:

- ტუროპერატორის კურსი;
- დესტინაციათა მენეჯმენტი;
- ტურიზმის და რეკრეაციის მენეჯერი - პროფესიონალური პროფილი;
- გიდის პროგრამა;
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტი;
- კულტურული ტურიზმი.

გვსურს, აქვე აღვნიშნოთ, რომ 2016 და 2017 წელს გთუნისთან პარტნიორობით წარდგენილი იქნა კიდევ 2 გაცვლითი პროექტის განაცხადი: 1. ანკარის ილდიზ ბეიაზიტის უნივერსიტეტის (თურქეთი) მიერ და 2. კლაიპედას გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის (ლიტვა) მიერ. პროექტებმა, დიდი კონკურენციის გამო, ვერ მოიპოვეს გამარჯვება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გთუნი ცდილობს კიდევ უფრო ინტენსიური გახადოს თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. 2018 წელს Erasmus+ მობილობის ფარგლებში, გთუნი-სთან პარტნიორობით, 5 პროექტის განაცხადია წარდგენილი 5 სხვადასხვა უცხოური უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ: ესენია:


1. სტაჟირების და პრაქტიკის გაცვლითი პროექტი ტურიზმის სფეროში (ინჰოლანდის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები);
2. სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის გაცვლითი პროექტი (პეშის უნივერსიტეტი, უნგრეთი);
3. სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის გაცვლითი პროექტი (რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლატვია);
4. სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის გაცვლითი პროექტი (ინგოლშტატის უნივერსიტეტი, გერმანია).
5. ინსტიტუციური განვითარების პროექტი (ARBSU, მოლდოვა).

წინასწარი ინფორმაციით, შედეგები ცნობილი გახდება 2019 წლის ივნისში.

*სტატისტიკური მონაცემებისათვის წარდგენილი, გამარჯვებული და წარუმატებელი პროექტების შესახებ იხ. სვეტოვანი დიაგრამა N 2.*

*სვეტოვანი დიაგრამა N 2.*

**წარდგენილი, გამარჯვებული და წარუმატებელი პროექტების სტატისტიკა**



### ინდიკატორი N3

- საერთაშორისო კვლევითი და აკადემიური სტანდარტების დამკვიდრების ხარისხი (გთუნი-ს პროფესორის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშები, უცხოელი პროფესორების (აკადემიური/მოწვეული, გაცვლითი) მასტერკლასები/ სალექციო კურსები/ სემინარები გთუნიში);


გთუნი-ში უცხოელი სპეციალისტები, პროფესორები და ექსპერტები კითხულობენ ლექციებს, ატარებენ ტრენინგებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. გთუნი-ს საქმიანობაში, 2010 წლიდან დღემდე, უცხოელი ექსპერტების და პროფესორების მიერ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობაა -91. მათ შორის, Erasmus+ გაცვლითი პროექტის თანამშრომლობის ფარგლებში - 11 (2017 წლიდან დღემდე). visegrad-ის პროექტის ფარგლებში - 5 (2015-2019). Tempus-ის პროექტის ფარგლებში - 2 (2013-2017). სხვა საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად -13 (2010-2018);

(დეტალური ინფორმაცია ტრენინგების/მასტერკლასების შესახებ იხ. საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ანგარიშები-2013-2018წწ, გთუნი-ს ვებ-გვერდი).

სტატისტიკური მონაცემებისათვის უცხოელ სპეციალისტთა, ექსპერტთა და პროფესორთა ჩართულობაზე გთუნის საქმიანობაში, იხ. სვეტოვანი დიაგრამა 1.



სვეტოვანი დიაგრამა N 1.



გთუნი მიიჩნევს, რომ საჭიროა უცხოელ მეცნიერთა მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა გთუნი-ს საქმიანობაში.

**ინდიკატორი N4**

- ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შესახებ სტუდენტების და პერსონალის ინფორმირებულობა და მათი გამოყენების ხარისხი (ყოველწლიური გამოკითხვა/მონიტორინგის შედეგები).

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით, ატარებს სტუდენტთა პერიოდულ გამოკითხვას. გთუნი-ს ამოცანაა მოცემული კითხვარის საფუძველზე, მივიღოთ ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ ინტერნაციონალიზაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების თაობაზე და შევაფასოთ მათი ეფექტურობა გთუნის 2017-2023 წლის სტრატეგიული გეგმით დასახულ ინტერნაციონალიზაციის მიზნებთან მიმართებაში. გამოკითხვის ანალიზის ჩასატარებლად გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მექანიზმები.

2018 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობდა სულ 196 სტუდენტი - ბიზნესის ადმინისტრირების და სოც. მეცნიერებათა ფაკულტეტი: 88 სტუდენტი და სამართლის ფაკულტეტი-108 სტუდენტი *(დეტალური ინფორმაციისათვის იხ. დოკუმენტი: სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი გთუნი-ს მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით).*

გთუნის პერსონალის 2018 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში სულ მონაწილეობდა 47 აკადემიური პერსონალის ბიზნესის ადმინისტრირების და სოც. მეცნიერებათა აკადემიური პერსონალის 27 წარმომადგენელი და სამართლის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის 20 წარმომადგენელი.

### **გთუნი-ს სტუდენტების გამოკითვის შედეგების ანალიზმა გამოავლინა:**

- გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა ინფორმირებულია გთუნი-ში არსებულ საერთაშორისო მობილობის, ერთობლივი პროგრამების/პროექტებში ჩართვის შესაძლებლობებზე; გამოიკვეთა, რომ ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტური წყარო გთუნის ბიზნესის ადმინისტრირების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისევე როგორც სამართლის ფაკულტეტზე, გახლავთ უნივერსიტეტის ვებ გვერდი და უნივერსიტეტის გვერდი სოციალური ქსელში;
- გთუნის ორივე ფაკულტეტის სტუდენტები გამოხატავენ დიდ ინტერესს უნივერსიტეტში არსებული გაცვლითი პროგრამების მიმართ. ასევე, დაინტერესება დიდია უცხოელი პროფესორების მიერ ჩატარებული მასტერკლასების, ტრენინგების და სალექციო კურსების მაიმართაც, თუმცა, ამ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებისათვის სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე არცოდნა.
- დაბალია უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა მაჩვენელიც, ისევე, როგორც მათი მონაწილეობა გთუნის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო/უცხოენოვან კონფერენციაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გთუნის სტუდენტების ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის მაჩვენებელი შედარებით დამაიმედებელია. თუმცა, გთუნის სტუდენტებისათვის ძირითად გამოწვევად ისევ ინგლისური ენის დაბალი კომპეტენცია სახელდება.

### **გთუნის პერსონალის გამოკითვის შედეგების ანალიზმა გამოავლინა:**

- გამოკითხული პერსონალის უმრავლესობა ინფორმირებულია გთუნი-ში არსებულ საერთაშორისო მობილობის, ერთობლივი პროგრამების/პროექტებში ჩართვის შესაძლებლობებზე; გამოიკვეთა, რომ ინფორმაციის მიღების ყველაზე ეფექტური წყაროები გთუნის ბიზნესის ადმინისტრირების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისევე როგორც სამართლის ფაკულტეტზე, გახლავთ უნივერსიტეტის ვებ გვერდი და ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები;
- გთუნის ორივე ფაკულტეტის პერსონალი გამოხატავს დიდ ინტერესს უნივერსიტეტში არსებული გაცვლითი პროგრამების მიმართ. ასევე, დაინტერესება დიდია უცხოელი პროფესორების მიერ ჩატარებული მასტერკლასების, ტრენინგების და სალექციო კურსების მაიმართაც, თუმცა, ამ აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად პერსონალის ნაწილისათვის სერიოზულ ბარიერს წარმოადგენს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე არცოდნა.
- დაბალია უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილე პერსონალის მაჩვენელიც, ისევე, როგორც მათი მონაწილეობა გთუნის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო/უცხოენოვან კონფერენციაში. უნდა აღინიშნოს, რომ გთუნის პერსონალისთვის ძირითად გამოწვევად ისევ ინგლისური ენის დაბალი კომპეტენცია სახელდება.

## 8. უკუკავშირი

მონიტორინგი და შეფასება მოიცავს უკუკავშირის ეტაპს, რაც იმას ნიშნავს, რომ:

- ანგარიშის საფუძველზე უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები დაშვებული ხარვეზების გამოსასწორებლად;
- მოხდეს პოლიტიკის კორექტირება;
- შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში ან/და სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს რეკომენდაციები.